ხობის მუნიციპალიტეტის ყოველკვირეული გაზეთი
გამოდის 1932 წლის 12 ივნისიდან

# სამკუთხედი

№ 14 (7023) * 30 * ივნისი * ოთხშაბათი * 2010 წელი * ფასი 50 თეთრი

## ახალი მოწვევის საკრებულოს სხდომა

2010 წლის 18 ივნისს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში გაიმართა 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგად არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველი სხდომა.

სხდომა გახსნა N66 ხობის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ მინდია ლომაიამ, რომელმაც საკრებულოს გააცნო 2010 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს არჩევნების შედეგები და საკრებულოს თავმჯდომარის არჩევამდე სხდომის თავმჯდომარეობა გადააბარა საკრებულოს უხუცეს წევრს მურმან ბუკიას.

მისასალმებელი გამოსვლების შემდგომ საკრებულოს სხდომა შეუდგა მუშაობას.

დღის წესრიგი დამტკიცდა 7 განსახილველი საკითხით: დროებითი სამანდატო კომისიის არჩევა; საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობა; საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა; საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა; საკრებულოს კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა.

დროებითი სამანდატო კომისიის არჩევის შემდგომ, საარჩევნო კომისიის მიერ წარმოდგენილი საარჩევნო დოკუმენტაციის შესწავლის მიზნით სხდომაზე გამოცხადდა შესვენება. შესვენების დამთავრებისთანავე, დროებითი სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ მ. ლატარიამ სხდომას გააცნო წარმოდგენილი საარჩევნო მასალები და კომისიის დასკვნის საფუძველზე საკრებულოს წევრის უფლებამოსილება მიენიჭა საკრებულოს ახალარჩეულ ოცდათერთმეტივე წევრს.

საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობის შემდგომ სხდომა შეუდგა საკრებულოს თანამდებობის პირთა არჩევნებს.

საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 31 წევრიდან 28 ხმით საკრებულოს თავმჯდომარედ არჩეულიქნა მამუკა ჭოხონელიძე, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ, 28 ხმით-კახა ბუკია.

საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეებად არჩეულიქნენ:

საკრებულოს სამანდატო–საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, 29 ხმით – მურმან ბუკია.

საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ, 28 ხმით - მერაბ სილოგავა.

საკრებულოს საფინანსო – სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, 28 ხმით – ბორის ჯიქია.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, 29 ხმით - დალი გერგაია.

საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ, 29 ხმით – გოჩა ქაჯაია.

საკრებულოში ასევე შეიქმნა ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, რომლის თავმჯდომარედ არჩეულიქნა თემურ გულუა.

საკრებულოს კომისიათა შემადგენლობების დასაკომპლექტებლად კონსულტაციების გამართვისა და საკრებულოს კომისიების თავმჯდომარეების მიერ შესაბამისი წინადადებების წარმოსადგენად, საკრებულოს მორიგი სხდომა დაინიშნა 2010 წლის 25 ივნისს.

2010 წლის 25 ივნისს მუშაობას შეუდგა საკრებულოს მეორე სხდომა. სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა ჭოხონელიძემ.

დღის წესრიგი დამტკიცდა განსახილველი 7 საკითხით. მათ შორის: საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ განკარგულებების პროექტების განხილვა, „ხობის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის შესახებ“, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2007 წლის 29 მარტის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, დადგენილების პროექტის განხილვა და „ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარისათვის ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე იგორ ტყებუჩავას დანიშვნაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

საკრებულოს სხდომის მსვლელობისას, კომისიების თავმჯდომარეების მიერ წარმოდგენილი კომისიის წევრთა ჩამონათვალში საკრებულოს წევრთა მოთხოვნით შეტანილიქნა ცვლილებები, რის შემდგომაც დამტკიცდა საკრებულოს კომისიების შემადგენლობები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ბოლო საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარემ, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნისათვის თანხმობის მისაღებად, საკრებულოს წარუდგინა იგორ ტყებუჩავას კანდიდატურა. კანდიდატმა სიტყვით მიმართა საკრებულოს წევრებს, გააცნო სამომავლო საქმიანობის ზოგადი მონახაზი, რის შემდგომაც გაიმართა კენჭისყრა. საკრებულოს სხდომაზე დამსწრე 28 წევრიდან 26 ხმით საკრებულოს თავმჯდომარეს თანხმობა მიეცა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანამდებობაზე იგორ ტყებუჩავას დასანიშნად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე – მამუკა ჭოხონელიძე



დაიბადა 1965 წლის 22 ოქტომბერს, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში. დაამთავრა ჯაპიშაქრის საშუალო სკოლა და ჩაირიცხა ქ. ტვერის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში. შემდგომ თბილისის შოთა რუსთაველის სახელმწიფო თეატრალურ ინსტიტუტში გააგრძელა სწავლა, რომელიც 1992 წელს დაამთავრა. პარალელურად სწავლობდა ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე. 1996-97 წლებში სწავლა გააგრძელა საზოგადოებათმცოდნეობის ინსტიტუტში, სადაც პოლიტოლოგიის სპეციალობას დაეუფლა. სწავლის დასრულებისთანავე მუშაობას იწყებს: 1989-91 წლებში გაზეთ „გზის“ კორესპონდენტად, 1991–92 წლებში საქართველოს ტელევიზიის პირველ არხზე, 1992–95 წლებში მცხეთის კულტურის განყოფილებაში თეატრის რეჟისორად, 1996–97 წლებში მშობლიურ რაიონში ინიშნება კინო-ვიდეოფიკაციის დირექტორად, 1997–98 წლებში ხობის რაიონის გამგეობის პრესცენტრის უფროსად. 1998-99 წლებში დაინიშნა რაიონის გამგებლის მოადგილედ, 1999–2001 წლებში სათავეში ჩაუდგა საქართველოს პარლამენტის ხობის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს. 2001–2006 წლებში კვლავ გამგებლის მოადგილის თანამდებობაზეა, 2006 წელს არჩეულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ, 2010 წლის ივნისში კვლავ არჩეული იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარედ.

არის ორი წიგნის ავტორი.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი – იგორ ტყებუჩავა



დაიბადა 1952 წლის 8 თებერვალს, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში მოსამსახურის ოჯახში. მშობლები მარგო ჩიქოვანი და იროდ ტყებუჩავა საჯიჯაოს საშუალო სკოლის პედაგოგები იყვნენ.

საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ავტო-მექანიკური ფაკულტეტი და მიიღო ინჟინერ–მექანიკოსის კვალიფიკაცია.

სკოლის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მშობლიურ სოფელში ფიზიკურად. უმაღლესის დამთავრების შემდეგ კი სხვადასხვა დროს მოღვაწეობდა კომკავშირულ და პარტიულ თანამდებობებზე. იყო „საქსახკომსოფტექნიკის“ ხობის სარაიონათაშორისო საწარმოს გაერთიანების მთავარი ინჟინერი, შემდეგ მმართველი, ხობის მანქანა-ტრაქტორთა პარკის რემონტისა და ექსპლოატაციის საწარმოოს დირექტორი, ტრესტ „კოლხიდმშენის“ ქვალონის მმკ–№10-ის უფროსი, ხობის საწარმოო კომბინატისა და მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების ბაზის დირექტორი.

გარკვეულ პერიოდებში იყო კოლმეურნეობის თავმჯდომარე და მეურნეობის დირექტორი.

სხვადასხვა წლებში – ხობის კომერციული ფირმა „ლუქსის“ დირექტორი, საქარველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების მთავარი სამმართველოს უფროსი, აგროსაინჟინრო სამსახურის უფროსი, ხობში შპს „ფერმერთა მომსახურების ცენტრი–„ხობის“ დირექტორი, ხოლო შემდეგ შპს „ხეთა“-ს და შპს „ხეთის დაფნა და ციტრუსის“ დირექტორი.

2009 წლის 31 მარტიდან 2010 წლის 18 ივნისამდე ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელია. ამჟამად კვლავ დაინიშნა ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლად.

ყავს მეუღლე და სამი შვილი.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე–კახა ბუკია



დაიბადა 1966 წლის 27 სექტემბერს, ხობის რაიონის სოფელ პირველ მაისში. დაამთავრა ქ. როსტოვის საინჟინრო-სამშენებლო ინსტიტუტი.

1997–1998 წლებში იყო შ.პ.ს. „აგრომაროილის“-ს მენეჯერი. 1998 -2000 წლებში ტელევიზია „კოლხეთის მოამბე“-ს დირექტორი. 2000–2009 წლებში შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“-ს მენეჯერი. 2009 წ. შ.პ.ს. „დაფნა და ციტრუსები“-ს დირექტორი, 2009–10 წლებში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის თანაშემწე.

2010 წლის ივნისიდან ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეა.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა



პრეზიდენტის სასახლეში უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომა გაიმართა.

სხდომაზე პირველ თემად ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში შემუშავებული სტრატეგიის სამოქმედო გეგმა განიხილება, მეორე კი, ევროინტეგრაციის საკითხია.

შეხვედრას პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილისა და ხელისუფლების სხვა წევრების გარდა, საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებიც ესწრებიან, არასაპარლამენტო ოპოზიციიდან კი „მრეწველების" წარმომადგენელი ზურაბ ტყემალაძე იმყოფა.

როგორც სხდომის გახსნისას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა განაცხადა, უშიშროების საბჭოს გაფართოებული სხდომები სილამაზისთვის და ვიღაცის თვალებში ნაცრის შეყრისთვის არ იმართება. ეს არის სერიოზული ღონისძიება, სადაც საქართველოს მთავრობა და სხვადასხვა პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები იღებენ ამომწურავ ინფორმაციებს.

„ჩვენ მივესალმებით ოპოზიციის მონაწილეობას უშიშროების გაფართოებულ სხდომაში. მინდა გითხრათ, რომ ბოლო პერიოდი ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი იყო უშიშროების და საგარეო პოლიტიკური გამოწვევების და პრიორიტეტების კუთხით. ჯერ ერთი, როგორც ხედავთ ძალიან გააქტიურებული საგარეო პოლიტიკა. ერთმანეთის მიყოლებით არის ძალიან მნიშვნელოვანი ვიზიტები. ბოლო ხანებში საქართველოში ჩამოვიდა ძალიან ბევრი ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი. ახლახან იყო ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი. უახლოეს მომავალში ჩამოდის პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, შემდეგ ჩამოდის ამერიკის სახელმწიფო მდივანი. 14 ივლისს საფრანგეთის დამოუკიდებლობის დღეს, ამავე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი საქართველოში ჩვენთან ერთად აღნიშნავს. 15 ივლისს თბილისში ჩამოდის ევროკავშირის მაღალი დონის დელეგაცია. ეს არის, მართლაც გადაჭარბების გარეშე, ისტორიული მომენტი",- აღნიშნა უშიშროების საბჭოს სხდომაზე პრეზიდენტმა.

მანვე ევროინტეგრაციის საკითხში მიღწეულ წარმატებებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბოლო წლების განმავლობაში ბევრად უფრო მეტი ქართველი ბრუნდება საქართველოში ვიდრე ტოვებს ქვეყანას.

აქვე საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ რუს ოკუპანტებს ადრე თუ გვიან საქართველოს ხელისუფლებასთან საუბარი მოუწევთ. სააკაშვილის განცხადებით, იგი მზადაა, დაიწყოს რუსეთთან მოლაპარაკებები ყოველგვარი წინაპირობების გარეშე დევნილების დაბრუნების საკითხებში.

„რუსეთის ხელმძღვანელობისგან ვისმენთ განცხადებებს, რომ ისინი არ დაელაპარაკებიან საქართველოს ხელისუფლებას. ჩემი გამოცდილებით, ისინი არ ელაპარაკებიან არც ერთ ხელისუფლებას, რომელიც საქართველოს ეროვნულ ინტერესებს იცავს, მაგრამ ეს ყველაფერი დროებითია. ოკუპანტს მოუხდება დეოკუპაციაზე ლაპარაკი. ჩვენი მხრივ კი მინდა დავადასტურო ჩვენი სურვილი, მზადყოფნა, ყოველგვარი წინაპირობების გარეშე რუსეთთან ვაწარმოო ფართომასშტაბიანი დიალოგი ნორმალიზაციის შესახებ.

ეს ნორმალიზაცია გულისხმობს 500 ათასი ქართველი დევნილის (და როცა ამას ვამბობ ვგულისხმობ ეთნიკურად ქართველებს და აფხაზებს, სომხებს, ებრაელებს, ბერძნებს, უკრაინელებს, ესტონელებს) დაბრუნებაზე თავიანთ მიწა-წყალზე, მათი ქონებრივი და მოქალაქეობრივი უფლებების აღდგენაზე, საქართველოს ტერიტორიის დეოკუპაციაზე და ყველა საკითხზე, რომელიც ეხება ორმხრივ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, დიპლომატიურ და ჰუმანიტარულ ურთიერთობებს", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისივე თქმით, აშშ-ს პრეზიდენტის დონეზე აღიარებული საქართველოს ტერიტორიების უკანონოდ ოკუპაცია, კონფლიქტებთან მიმართებაში ახალ რეალობას ქმნის.

„მნიშვნელოვანი რამ მოხდა ბოლო სამიტზე რუსეთსა და ამერიკას შორის, პირველად ბარაკ ობამას დონეზე იქნა აღიარებული, რომ საქართველოს ტერიტორიები უკანონოდ არის ოკუპირებული; ეს სრულიად ახალ რეალობას იძლევა ჩვენს კონფლიქტებთან მიმართებაში; ვერ ვიხსენებ, სხვა ქვეყნების მიმართ, თუნდაც მსგავს შემთხვევაში, ტერმინი - ოკუპანტი ყოფილიყო გამოყენებული; ეს ნიშნავს იმას, რომ ოკუპანტი, ადრე თუ გვიან, დატოვებს ტერიტორიას", - განაცხადა სააკაშვილმა.

მისი თქმით, ყველას მართებს იმის გათავისება, რომ ეს არის დროებით ოკუპირებული ტერიტორია და იქ შეძენილი სახლი თუ მიწა, არის უკანონოდ შესყიდული, რომელსაც საერთაშორისო ძალები არასოდეს აღიარებენ.

„მინდა ვუთხრა თავზეხელაღებულ რუსს – შენ ხარ ოკუპანტი!", - განაცხადა პრეზიდენტმა და აღნიშნა, რომ ეს ყველაფერი დროებითია, რადგან ოკუპანტს მოუწევს დეოკუპაციაზე საუბარი.

მიხეილ სააკაშვილმა კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ „ოკუპირებული ტერიტორიები" არა რის მხოლოდ ქართული მხარის ცალმხრივი ტერმინი.

**„პირველი"**

## ოფიციალური თბილისი რუმინეთის მიმართ მადლიერებას გამოთქვამს

ოფიციალური თბილისი რუმინეთის სენატის მიერ საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ მიღებულ რეზოლუციას მიესალმება და რუმინელი ხალხის, მთავრობისა და განსაკუთრებით სენატის მიმართ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აქტიური მხარდაჭერისათვის მადლიერებას გამოხატავს.

ასე ეხმიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყება რუმინეთის სენატის მიერ 28 ივნისს ერთხმად მიღებულ რეზოლუციას, რომლის თანახმად, რუმინეთის სენატი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას ადასტურებს, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეგიონებს საქართველოს ტერიტორიის განუყოფელ ნაწილებად სცნობს და რიგი ქვეყნების მიერ საქართველოს სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობის აღიარების ფაქტს გმობს.

ამ კონტექსტში რუმინეთის სენატი 2008 წლის 12 აგვისტოს 6 პუნქტიანი შეთანხმების სრულად შესრულების აუცილებლობას აღნიშნავს.

ამასთან, რუმინეთის სენატი მხარს უჭერს საქართველოს მთავრობის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიებთან მიმართებაში მიღებულ სახელმწიფო სტრატეგიას, გმობს იმ პოლიტიკის გაგრძელებას, რომელიც ორ სეპარატისტულ რეგიონში ეთნიკური შემადგენლობის შეცვლისკენაა მიმართული და აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებებისგან მოითხოვს, დაემორჩილონ საერთაშორისო ჰუმანიტარულ სამართალს, რათა დევნილი მოქალაქეების თავისუფალი დაბრუნება იქნას უზრუნველყოფილი.

რეზოლუციაში რუმინეთის სენატი მოუწოდებს მთავრობას, მოახდინოს მრავალმხრივი, ორმხრივი, რეგიონული თანამშრომლობის ინტენსიფიკაცია საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციისთვის მომზადების მიზნით, უზრუნველყოს რუმინეთის წარმომადგენლობის მონაწილეობის გაგრძელება ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიაში (EUMM), გააგრძელოს საქართველოს განვითარების მიზნით დახმარების გაწევა და ენერგეტიკის სფეროში საქართველოსთან თანამშრომლობა განავითაროს.

*[„პირველი"]*

## ჰილარი კლინტონის შეხვედრების მთავარი თემა სტრატეგიული შეთანხმება და მასთან დაკავშირებული საკითხები იქნება



თბილისში აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ჰილარი კლინტონის შეხვედრების მთავარი თემა ორ ქვეყანას შორის გაფორმებული ე.წ. სტრატეგიული შეთანხმება და მასთან დაკავშირებული საკითხები იქნება.

ამის შესახებ აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში გამართულ ბრიფინგზე სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ გორდონმა განაცხადა.

მან კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ შეერთებული შტატები საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სუვერენიტეტს მხარს უჭერს.

შეგახსენებთ, რომ ჰილარი კლინტონის ხუთდღიანი ტურნე 1 ივლისს დაიწყება. მის ფარგლებში ამერიკის სახელმწიფო მდივანი ჯერ უკრაინას, პოლონეთს, აზერბაიჯანს და სომხეთს ეწვევა, 5 ივლისს კი თბილისში ჩამოვა.

**„პირველი"**

## ფილიპ გორდონი: საქართველოს პრობლემა სამხედრო გზით არ გადაწყდება, ის უნდა გახდეს უფრო დემოკრატიული და აყვავებული ქვეყანა

„ყველა ქვეყანას აქვს თავდაცვის უფლება და აირჩიოს ალიანსი, სადაც გაწევრიანება სურს", - ამის შესახებ ამერიკის სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ ფილიპ გორდონმა განაცხადა.

„ამერიკის შეერთებულ შტატებს საქართველოსთან იარაღზე ემბარგო არ დაუწესებია და სამხედრო სფეროში თანამშრომლობას განაგრძობს. თუმცა, ვაშინგტონში მიიჩნევს, რომ საქართველოს პრობლემა სამხედრო გზით არ გადაწყდება, ის უნდა გახდეს უფრო დემოკრატიული და აყვავებული ქვეყანა, რის შემდეგაც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებს თავად გაუჩნდებათ სურვილი ერთიანი საქართველოს ნაწილი გახდნენ", - განაცხადა გორდონმა.

ამასთან, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის თანაშემწემ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მხარდაჭერა და პატივისცემა ობამას ადმინისტრაციის სახელით კიდევ ერთხელ დააფიქსირა და რუსეთს აღებული ვალდებულების შესრულებისკენ მოუწოდა.

„ჩვენ პატივს ვცემთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს. მოვუწოდებთ, რუსეთს დაიცვას 2008 წლის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები, რომელიც არა მხოლოდ ძალის გამოუყენებლობასა და მტრობის შეწყვეტას გულისხმობს,



ასევე სამხედრო ძალების დაბრუნებას იმ პოზიციებზე, სადაც ისინი კონფლიქტის დაწყებამდე იმყოფებოდნენ. რუსეთის მხრიდან ეს ვალდებულება ჯერ არ შესრულებულა", - აღნიშნა გორდონმა.

მისივე შეფასებით, ასევე აუცილებელია ოკუპირებულ ტერიტორიებზე მეტი გამჭირვალობა იყოს.

## სარეზერვო სამსახურზე უარის შემთხვევაში, პირს 60-დღიანი ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევს



სარეზერვო სამსახურზე უარის შემთხვევაში, პირს 60-დღიანი ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევს.

ამის შესახებ ცვლილება „სარეზერვო სამსახურის შესახებ კანონპროექტის" ფარგლებში, „არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის შესახებ" კანონში შედის.

კანონპროექტის თანახმად, სავალდებულო სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლას დაქვემდებარებული პირისთვის არასამხედრო, ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლის ვადა განისაზღვრება არაუმეტეს 60 კალენდარული დღით, ყოველ ერთ კალენდარულ წელში.

ალტერნატიული სამხედრო სამსახურით ადამიანები, ძირითადად, რელიგიური შეხედულებების გამო სარგებლობენ ხოლმე.

კანონპროექტის ავტორები არიან დეპუტატები სოსო ქუთათელაძე, ლაშა თორდია და ზვიად კუკავა.

**„ინტერპრესნიუსი"**

## სამხედრო-სარეზერვო სამსახური კანონით კატეგორიებად დაყოფილი აღარ იქნება

მოქმედი კანონმდებლობით, სამხედრო ძალების რეზერვი სამ – აქტიურ, ეროვნული გვარდიისა და ინდივიდუალური რეზერვის კატეგორიებად იყოფა, თუმცა ახალ კანონპროექტში ეს დაყოფა აღარ ფიგურირებს.

როგორც ამის შესახებ „პირველს" თავდაცვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის წარმომადგენელმა ვახტანგ ჯორბენაძემ განუმარტა, სარეზერვო სამსახურის კატეგორიები და რეზერვის გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხები ამიერიდან არა კანონით, არამედ პრეზიდენტის ბრძანებულებითა და მის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტებით დარეგულირდება.

პარლამენტი უახლოეს მომავალში „სამხედრო-სარეზერვო სამსახურის შესახებ" ახალ კანონს მიიღებს. წარმოდგენილი პროექტით, სამხედრო სარეზერვო სამსახურის გავლა სავალდებულოა სამხედრო სამსახურისთვის ვარგისი 40 წლამდე ასაკის პირებისთვის. რეზერვისტთა აღრიცხვაზე ყოფნის ზღვრული ასაკი შეადგენს სამხედრო წოდების არმქონეთათვის – 50 წლამდე, სახმედრო წოდების მქონეთათვის – 55 წლამდე (გარდა ოფიცრის სამხედრო წოდებისა).

გარდა ამისა, ამიერიდან სამხედრო სარეზერვო შეკრების ვადა ყოველი კალენდარული წლის განმავლობაში არაუმეტეს 45 დღით განისაზღვრება.

რეზერვისტი რეზერვში წელიწარდში რამდენჯერმე შეიძლება, იქნას გამოძახებული.

სარეზერვო სამსახურზე უარის თქმის შემთხვევაში პირს 60-დღიანი ალტერნატიული შრომითი სამსახურის გავლა მოუწევს.

**„პირველი"**

## საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცესი მარტივდება

საქართველოს მოქალაქეობის მიღების პროცესი მარტივდება. აღნიშნული ცვლილება „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ" კანონში შევა.

როგორც ცნობილია, მოქმედი კანონმდებლობით, იმ შემთხვევაში, თუ საქართველოს მოქალაქეობის შეძენის, შეწყვეტისა და აღდგენის შესახებ განცხადებასა და წარდგინებაზე პირს უარი უთხრეს, ამ საკითხს განმეორებით მხოლოდ ერთი წლის შემდეგ განიხილავენ.

ცვლილებების პროექტით კი განმეორებითი განხილვა 6 თვეში იქნება შესაძლებელი. ამავე ცვლილების მიხედვით, პირს საქართველოს მოქალაქეობა საკუთარი ნებით მხოლოდ მას შემდეგ შეუწყდება, რაც სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მიიღებს.

**„ჯი-ეიჩ-ენი"**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ახალი შემადგენლობა

## თემურ გულუა – ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარე



დაიბადა 1957 წლის 5 ოქტომბერს, ხობის რაიონის სოფელ მეორე გურიფულში, დაამთავრა საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის სწავლული აგრონომის კვალიფიკაციით. 1980-84 წლებში მუშაობდა ნოჯიხევის ჩაის მეურნეობის ბრიგადირად. 1984-85 წლებში სოფელ პირველი მაისის კოლმეურნეობის მთავარ აგრონომად; 1985-87 წლებში ტრესტ „კოლხიდმშენი“-ს პრობლემური ლაბორატორიის მთავარ აგრონომად. 1987-90 წლებში – ტრესტ „საქწყალექსპლუატაციის“ აგრონომია. 1991-93 წლებში კი ხობის აგროსამრეწველო გაერთიანების თავმჯდომარეა. 1995-96 წლებში დაინიშნა სოფელ საჯიჯაოს ჩაის ფაბრიკის დირექტორად. 1996–2004 წლებში სს. „კემულარიები“-ს საწარმოს უფროსად. 2006-2010 წლებში ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარეა.

2010 წლის ივნისში კვლავ არჩეული იქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და სამი შვილი.

## გოჩა ქაჯაია–ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1964 წლის 28 თებერვალს, ხობის რაიონის სოფელ საჯიჯაოში. დამთავრებული აქვს ქალაქ კალინინის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 2002-2006 წლებში არჩეულიქნა სოფელ საჯიჯაოს საკრებულოს თავმჯდომარედ. 2006 წელს–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ. 2010 წლის ივნისში კვლავ იქნა არჩეული ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## მურმან ბუკია–სამანდატო საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე.



დაიბადა 1940 წლის 15 მაისს, ხობის რაიონის სოფელ ხეთაში. დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი. 1964-1965 წლებში მუშაობდა თბილისის მეტრომშენის მუშად. 1965–1976 წლებში–ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს მშენებლობის განყოფილების უფროსად. 1976–1990 – წლებში ხობის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფის უფროსად, 1992-1996 წლებში ქონების მმართვის ხობის განყოფილების უფროს სპეციალისტად მუშაობდა.

1996–2009 წლებში–საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი „ხობის“ მენეჯერია. 2009–2010 წლებში–საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი; 2010 წლის ივნისიდან–ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

## დალი გერგაია–სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1953 წლის 4 აპრილს, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი. 1976–78 წლებში მუშაობდა ხობის რაიონული ბიბლიოთეკის გამგედ. 1978-80 წლებში–ხობის რაიკომის სტატისტიკოსად, 1980–1983 წლებში– ხობის კომკავშირის რაიკომის ინსტრუქტორად, 1983-90 წლებში – ხობის კოლხეთის ათვისების მუზეუმის მეცნიერ-მუშაკად. 1990–91 წლებში– ქ. ხობის საკრებულოს მდივანია, ხოლო 1991-94 წლებში ქ. ხობის კოლხეთის ათვისების მუზეუმის დირექტორია. 2004-2010 წლებში – ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის აპარატის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და ინფორმაციის უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი.

2010 წლის ივნისში არჩეულიქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარედ.

აქვს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის სამსახურების საქმიანობის პრინციპების usaid-ისა და მთავრობის კანცელარიის სერთიფიკატი, ფლობს კომპიუტერულ პროგრამებს.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

## ბორის ჯიქია–საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1954 წლის 1 ოქტომბერს, ხობის რაიონის სოფელ შუა ხორგაში. დამთავრებული აქვს ქ. მოსკოვის კვების მრეწველობის ინსტიტუტი ეკონომისტის სპეციალობით.

1971–74 წლებში მუშაობდა ქ. როსტოვის საფუარისა და ღვინის ქარხნის ზეინკლად. 1974–78 წლებში–ქ. მოსკოვის რკინა-ბეტონის №3 ქარხნის ზეინკლად. 1978 წელს დაბრუნდა რაიონში და მუშაობა დაიწყო სახელმწიფო ბანკის ხობის განყოფილების უფროს ეკონომისტად, საკრედიტო ჯგუფის უფროსად.

1984–85 წლებში დაინიშნა რაიონის საფინანსო განყოფილების უფროსად. 1985–90 წლებში – ხობის მომხმარებელთა საზოგადოების (რაიკავშირი) გამგეობის თავმჯდომარედ. 1991-1992 წლებში კი ხობის აგროსამრეწველო ბანკის მმართველად. 1996-98 წლებში ხობის სოფლის მეურნეობისა და საერთაშორისო სამმართველოს უფროსის პირველ მოადგილედ ეკონომიკის დარგში. 1998-99 წლებში ხობის რაიონის საგადასახადო ინსპექციის უფროსის მოადგილედ, 2001-04 წლებში იყო შ.პ.ს. „მეგრი“-ს აღმასრულებელი დირექტორი. 2004-06 წლებში– შ.პ.ს. „შავი ზღვის ტერმინალი“-ს მუშა. 2006 წელს შ.პ.ს. „შარა გზამშენი-I“ სამეთვალყურეო საბჭოს წევრია. 2006 წელს არჩეულიქნა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ. 2010 წლის ივნისში კვლავ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–სარევიზიო კომისიის თავმჯდომარეა.

ჰყავს მეუღლე და ერთი შვილი.

## მერაბ სილოგავა– იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე



დაიბადა 1974 წლის 20 მარტს, ხობის რაიონის სოფელ პატარა ფოთში. დამთავრებული აქვს ქ. ქუთაისის ნ. მუსხელიშვილის სახელობის ტექნიკური უნივერსიტეტი ინჟინერ-ეკოლოგის სპეციალობით.

1993-2002 წლებში მუშაობდა ქ. ფოთის რესპუბლიკური დანიშნულების ტელე-რადიო ცენტრის ელექტრიკ-მექანიკოსად. 2002-2006 წლებში – სოფელ პატარა ფოთის საკრებულოს თავმჯდომარედ. 2006-2010 წლებში იყო ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „მაჟორიტარის“ თავმჯდომარე. 2010 წლის ივნისში არჩეულიქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამინის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარედ.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

ინტერვიუ

კარიმ გულიევი:

# „ყულევის ნავსადგური აბრეშუმის გზის ერთ-ერთი განშტოებაა“

***ბატონო კარიმ, გთხოვთ გააცნოთ მკითხველს. ვინ არის კარიმ გულიევი?***

დავიბადე აზერბაიჯანში. 1991 წელს დავამთავრე აზერბაიჯანის ნავთობის აკადემიის ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამუშავებისა და ექსპლუატაციის ფაკულტეტი. 10 წელი ვიმუშავე BP-ში. მყავს მეუღლე და სამი შვილი.

***როცა ეს მშენებლობა დაიწყო, ძნელად დასაჯერებელი იყო მისი რეალობა. დღეს კი ის ერთ–ერთი უდიდესი კომპანიაა დასავლეთ საქართველოში, როგორ შეაფასებდით არის თუ არა „შავი ზღვის ტერმინალი“ აბრეშუმის გზის გაგრძელება?***

იმ პერიოდში შავი ზღვის სანაპიროს ერთ-ერთ სოფელში, კერძოდ ყულევში, სადაც არ იყო განვითარებული თანამედროვე ინფრასტრუქტურა, მართლა წარმოუდგენელი იქნებოდა და ძნელად აღიქმებოდა ისეთი დიდი პროექტის განხორციელება, როგორიც „შავი ზღვის ტერმინალია.“ მაგრამ იქ, სადაც ადამიანის გონება და თანამედროვე ტექნიკა ერთვება, დაუჯერებელი და მიუღწეველი არაფერია. ჩვენი კომპანია არის საზღვაო ტერმინალი, რომელიც გადატვირთავს აზერბაიჯანისა და აზიის ნავთობსა და ნავთობპროდუქტებს. შეიძლება ითქვას, რომ „შავი ზღვის ტერმინალი“ და ყულევის ნავსადგური, სწორედ აბრეშუმის გზის ერთ–ერთი განშტოებაა.

**გთხოვთ, მოკლედ გვიამბოთ საერთაშორისო ასპარეზზე თქვენი კომპანიის სამსახურებრივი სტრუქტურისა და საქმიანი კავშირების შესახებ.**

ჩვენს კომპანიაში ფუნქციონირებს 11 დეპარტამენტი, მათ შორისაა ნავსადგური და რკინიგზის სადგური. ვფიქრობ, ყველა დეპარტამენტი გამართულად და ეფექტურად მუშაობს. ჩვენი მუშაობა გუნდურ პრინციპებზეა აგებული და მუშაობის მოკლე პერიოდში გარკვეული მიღწევები გვაქვს. კომპანია ფლობს საერთაშორისო სერტიფიკატს. ურთიერთობები გვაქვს როგორც ევროპის, ისე აზიის ქვეყნების სხვადასხვა წამყვან კომპანიებთან. დღეს საერთაშორისო ბაზარზე „შავი ზღვის ტერმინალი“ არ არის უცხო სახელი.

***კმაყოფილი ხართ თუ არა იმ ფაქტით, რომ თქვენ წილად გერგოთ ყოფილიყავით ამ კომპანიის გენერალური დირექტორი და გემუშავათ საქართველოში?***

საქართველოში ჩამოვედი 2007 წლის ზაფხულში. ჩემმა დანიშვნამ გენერალური დირექტორის თანამდებობაზე, რა თქმა უნდა, მხოლოდ დადებითი ემოციები გამოიწვია. ამავე დროს, ეს ჩემთვის ძალიან დიდი პასუხისმგებლობაა. მაგრამ თუ გენდობიან, უნდა იშრომო და სიძნელეები გადალახო. დაუძლეველი და მოუწყველი არაფერი არ არის. როცა ყულევში ჩამოვედი, მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი საქმე გაკეთებული იყო, გასაკეთებელიც არ ჩანდა ცოტა, თანაც ექსპლუატაციის პროცესიც დროზე უნდა დაწყებულიყო. და აი, შედეგი სახეზეა. ეს თითოეული აქ მომუშავის თანადგომის დამსახურებაა. რაც შეეხება საქართველოს, აქაურობა მომწონს, ნორმალური ბიზნესგარემოა, ხალხიც სტუმართმოყვარე. ჩვენ მეზობელი ქვეყნების შვილები ვართ და ვალდებულებიც, გვქონდეს ურთიერთპატივისცემა, ვიცოდეთ ერთმანეთის კულტურისა და ისტორიის შესახებ. გავეცანი ბევრ ქართულ ტრადიციას, საკუთარი ტრადიციის შენარჩუნება თავისთავად დღევანდელი გლობალიზაციის პერიოდში მნიშვნელოვანია. დიდი სურვილი მაქვს, შევისწავლო ქართული ენა, იმედი მაქვს ადვილად დავძლევ.

***თქვენს კომპანიაში დასაქმებულები არიან სხვადასხვა ეროვნების ადამიანები, ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ თავს კარგად გრძნობენ, ხომ არ გვეტყოდით რაიმე მნიშვნელოვან და საინტერესო მომენტს?***

ჩვენს კომპანიაში ერთად მუშაობენ ქართველები და აზერბაიჯანელები. ისინი ერთმანეთის მიმართ პატივისცემით არიან განწყობილნი. არ არსებობს საკითხი, რომელიც მათთვის საერთო საფიქრალი არ იყოს. მაგალითად, ერთ-ერთ თანამშრომელს ჰქონდა პრობლემები შვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო და ოპერაციისთვის სჭირდებოდა ფული. ეს არასასიამოვნო ამბავი უცებ გავრცელდა კომპანიაში და ყველამ ყოველგვარი მითითებების გარეშე ხელი გაუწოდა დასახმარებლად... მოხარული ვარ, რომ ჩვენს დროში ჯერ კიდევ არიან ასეთი, გულისხმიერი ადამიანები.

***გვიამბეთ თქვენი კომპანიის სამომავლო გეგმების და განვითარების პერსპექტივების შესახებ, და თქვენს ბოლო წლების მიღწევებზე.***

ჩვენი მიზანი ინფრასტრუქტურის განვითარებაა, რის საფუძველზეც გაიზრდება ტვირთბრუნვა. ვცდილობთ, მაქსიმალურად გამოვიყენოთ შესაძლებლობები, რომ ტერმინალმა იმუშაოს სრული დატვირთვით და დავდგეთ იმ კომპანიების გვერდით, რომლებიც მსოფლიო ბაზარზე ჩვენს სფეროში მნიშვნელოვან სიტყვას ამბობენ. ვაფართოებთ ინფრასტრუქტურას, გვაქვს ძალიან ბევრი პერსპექტიული პროექტი, რომლის განხორციელებლად საჭიროა დამატებითი ინვესტიციების დაბანდება. შეიძლება ითქვას, რომ მომავალს იმედიანად ვუყურებთ.

უკვე გადაზიდული გვაქვს 5 მლნ. ტონაზე მეტი ტვირთი. 2009 წლის სექტემბერიდან ყულევის ნავსადგურმა დაიწყო 100 000 ტონის ტევადობის ტანკერების მიღება. მიმდინარე წლის მაისიდან დავიწყეთ ნედლი ნავთობის მიღება. ჩვენმა სწორმა მიდგომამ ბიზნესსტრატეგიის განვითარების ძირითადი მიმართულებებისადმი და საერთაშორისო სტანდარტების დაცვამ ნებისმიერი ოპერაციების დროს, განაპირობა ჩვენი პარტნიორობა ისეთ კომპანიასთან, როგორიცაა ნავთობნედლეულის გადამზიდავი „თენგიზშევროილი“.



ნავთობპროდუქტების მწარმოებელთა, იმპორტიორთა და მომხმარებელთა კავშირის მიერ ჩვენი კომპანია ორჯერ დაჯილდოვდა ნომინაციაში „საუკეთესო ინფრასტრუქტურის მქონე ნავთობისა და ნავთობპროდუქტების გადამზიდავი ტერმინალი“. 2008 წელს ჩვენმა კომპანიამ გაიარა საერთაშორისო სერტიფიცირება და მიიღო სერტიფიკატები, ISO 9001 (ხარისხის მენეჯმენტის სისტემების), ISO 14001 (ეკოლოგიის მენეჯმემტის სისტემები) და OHSAS 18001 (ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების სისტემების მენეჯმენტი).

მიმდინარე წლის იანვრის თვეში მედია-პროექტმა „სახე(ლ)ები“ უსაფრთხოების საერთაშორისო სტანდარტების დაცვისათვის „ყველაზე მოდერნიზებული ნავთობის ტერმინალი“ ნომინაციაში დაგვაჯილდოვა.



***როგორც ვიცით, თქვენი კომპანია აწარმოებს სარკინიგზო მაგისტრალის დამატებითი ხაზის მშენებლობას, ობიექტის მშენებლობის აუცილებლობა რით არის განპირობებული?***

პირველ რიგში, ჩვენი მიზანია გამტარუნარიანობის გაზრდა. ჩვენს კომპანიასა და „საქართველოს რკინიგზას“ შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად, ჩვენს მიერ საქართველოს რკინიგზის მაგისტრალის სხვადასხვა მონაკვეთებზე ჩატარდა აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოები. სამტრედიის სადგურზე აღდგენილ იქნა რვალიანდაგიანი პარკი. თითო ლიანდაგი დაემატა სადგურებს „ავროს ქარხანა“ და „ქვალონი“, ხოლო ჭალადიდის სადგურზე ახლა დაემატება ორი ლიანდაგი. რაც შეეხება ჭალადიდი–კოლხეთის გადასარბენს, აქ დამატებით შენდება მთავარი ლიანდაგი, რომელიც იქნება მთლიანად ელექტროფიცირებული. ასევე ვაშენებთ ხუთლიანდაგიანი რკინიგზის სადგურს „ფართოწყალს“. ყოველივე ეს უზრუნველყოფს წელიწადში 10 მლნ ტონის მიღებას.

***საქართველოს ხელისუფლების დასაქმების პროგრამაში „შავი ზღვის ტერმინალის“ წვლილი მნიშვნელოვანია, სამომავლოდ ხომ არ აპირებთ დამატებითი სამუშაო ადგილების შექმნას?***

„შავი ზღვის ტერმინალში“ ამჟამად დასაქმებულია 600-ზე მეტი ადამიანი. დასაქმებულთა 93% საქართველოს მოქალაქეა და ძირითადად ადგილობრივი რეგიონის წარმომადგენლები არიან. რაც შეეხება დამატებით სამუშაო ადგილებს, მაისის თვეში ჩვენ უკვე მივიღეთ 40-ზე მეტი კაცი. ეს დაკავშირებულია ნედლი ნავთობის მიღებასთან და ტვირთბრუნვის გაზრდასთან.

***ბევრს არ სჯერა, რომ ამ რეგიონში აშენდა ასეთი ტერმინალი და ნავსადგური. ადამიანებს აინტერესებს თვითონ ნახონ ეს ყველაფერი და შესაძლებელია თუ არა გაცნობითი ექსკურსიების მოწყობა?***

რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ჩვენ რამდენჯერმე მოგვმართა სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურების, საელჩოებისა და კომპანიების წარმომადგენლობა, რომლებსაც აინტერესებდათ ჩვენი ინფრასტრუქტურის გაცნობა. ჩვენ ყოველთვის გვიხარია სტუმრის მიღება და შეძლებისდაგვარად მათთვის საინტერესო ინფორმაციის მიწოდება. რა თქმა უნდა, არსებობს ტერმინალის და ნავსადგურის ტერიტორიის დათვალიერების შესაბამისი პროცედურა, რომელიც აუცილებლად უნდა იქნეს დაცული. უსაფრთხოების ზომების წესებს ნებისმიერი სტუმარი ეცნობა ტერიტორიაზე გასვლამდე, რისთვისაც საჭიროა სტუმრობის თაობაზე წინასწარ შეთანხმება.

***გთხოვთ, გვიამბოთ კომპანიის საქველმოქმედო საქმიანობის შესახებ.***

ქველმოქმედებაზე ხმამაღლა საუბარი არ მიყვარს, თუმცა გავაკეთეთ ბევრი კეთილი საქმე, გვაქვს შემუშავებული გეგმა, რომელსაც თანმიმდევრულად ვახორციელებთ. მაგალითად, ადგილობრივ სკოლას გადავეცით ინვენტარი და სწავლების პროცესისათვის საჭირო საშუალებები. შარშან შემოვუღობეთ სკოლის ეზო და ვაჩუქეთ კომპიუტერული ტექნიკა. ასევე ელექტროენერგიითა და წყლით უზრუნველვყოფთ მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებთ. უყურადღებოდ არ ვტოვებთ ეკლესიებიდან მიღებულ თხოვნებს. 9 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების დღის აღსანიშნავად თქვენს რაიონში მცხოვრებ მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს აღმოვუჩინეთ პატარა ფინანსური დახმარება. ქველმოქმედება ყველა ჩვენგანის ვალდებულებაა. ჩვენს ირგვლივ ბევრი კარგი საქმის კეთება შეიძლება.

***თქვენი კომპანიის მიერ გადახდილი გადასახადები მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფორმირებაში, პერსპექტივა როგორია?***

სასიამოვნოა, თუ ჩვენი როლი მნიშვნელოვანია ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის განვითარებაში. ჩვენი სამომავლო გეგმები თუ განხორციელდა, თავისთავად მოიმატებს საბიუჯეტო გადასახადების ოდენობა, ასე რომ პერსპექტივა ვფიქრობ, კარგია.

***ხომ არ გსურთ ისაუბროთ ისეთ რამეზე, რომელიც ფიქრობთ, რომ ჩვენ გამოგვრჩა?***

ეს ჩვენი პირველი შეხვედრაა. ვფიქრობ, დიალოგი შედგა, ჩვენ შემდგომში ისევ შევხვდებით ერთმანეთს.

გისურვებთ წარმატებებს.

დიდი მადლობა.

***საუბარი ჩაიწერეს:* მერი ლაგვილავამ და ნანი კილასონიამ.**

# „ისტორიის აწმყო“ ხობის მონასტერში



ხობის მონასტრის გარეთა ხედი.



ხობის მონასტრის ინტერიერი

წარსულის, აწმყოსა და მომავლის მეტაფიზიკური ერთიანობის ფონზე „ისტორია“ ფარდობითი ცნებაა. არსებობს „სტატიკური“ და „დინამიკური“ ისტორია, უფრო მეტიც, ამ სტატიკაშიც კი ტექტონიკური ენერგიისმაგვარი შინაგანი ენერგიაა ჩადებული და ცნობიერების ბაქანსა და ფუნდამენტს მძიმედ და შეუმჩნევლად, მაგრამ მაინც ცვლის. ეს ენერგია ზოგჯერ მყისიერად ვლინდება, ისე, როგორც ეს ისტორიის, წინავითარების გაქვავებულ ბუნებას არ უნდა შეესაბამებოდეს (რასაკვირველია, პრაგმატული ხედვით!). ისტორია მხოლოდ რელატივისტური გაგებითაა წარსული, სინამდვილეში არავინ იცის, როდის იქცევა ის აწმყოდ! როცა ვამბობთ, „ყველაფერს თავისი დრო აქვსო“ – უფუნქციობისა და ინდიფერენტიზმის გავლენის ქვეშ კი არ ვექცევით, არამედ სტატიკის დინამიკად, ისტორიის აწმყოდქცევას ველოდებით (რასაკვირველია, ცნობიერი ისტორიის!) და ამ მსჯელობაში მეტაფიზიკურ კონტექსტს ვდებთ. არავინ იცის, ეს მოლოდინი სად, როდის და რა ფორმით აცხადდება!

სამეცნიერო მისწრაფებებმა დღეს ამ „აცხადებული მოლოდინის“ ადგილას – ხობის ყოვლადწმიდა ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში მოიყარა თავი.

„არქეოლოგია ისევე უტყუარია ისტორიაში, როგორც ქირურგია მედიცინაში. შედეგი ყოველთვის ნაღდია. ან შველის ან არა! ილუზიების გამფანტველია არქეოლოგია! საქართველოს არქეოლოგიური მეტყველება შთამბეჭდავია, მაგრამ ახლადენაადგმულია. საქართველოს არასოდეს ჰქონია იმოდენა სიმდიდრე, მილიარდები დაეხარჯა არქეოლოგიაში. ძლიერი ეკონომიკის გარეშე არ არსებობს ძლიერი არქეოლოგია. ქართულ არეოლოგიას ჰყავდა და ჰ ყავს ტალანტები. მაგრამ ჰყავდა და ჰყავს უსახსროდ. საქართველოს უძველესი ცივილიზაცია მიწაშია. ყველა მონაცემის მიხედვით ასეა. ერთი არქეოლოგიური აღმოჩენა უფრო მეტს ადასტურებს ხშირად, ვიდრე ათი მეცნიერული ვარაუდი. ასეთ აღმოჩენას შეუძლია სამუდამოდ დაუსვას წერტილი ვარაუდების ციკლს“ – წერდა ჯანსუღ ღვინჯილია.

არქეოლოგიის ფუნქცია და უნარია ასეთი – უცნობი სამარხის აღმოჩენით კიდევ ერთხელ დაანგრია ისტორიამ ქრონოტოპული ზღუდეები. ამგვარი ფაქტებით არქეოლოგიაში ისტორია თვითონვე ამსხვრევს თავის ქრონოლოგიურ კონცეპტს, ისევე როგორც ადამიანთა აღმოჩენილი სამარხები თუ არტეფაქტები ამავე ისტორიის ფაქტოლოგიურ შაბლონებს.

ხობის მონასტერი დღეს ისტორიულ მოღვაწეთა წმინდა ნაწილებისა და ნეშტების იდენტიფიკაციის, ისტორიის „სამხილების“ ძიების ადგილად იქცა. ეს აღმოჩენა ერთგვარი ლოგიკური შედეგი იყო ამ მონასტრის შესწავლისა და განახლებისთვის წამოწყებული პროექტისა. ამ პროექტის ფარგლებში ხობის მონასტრის წინამძღვრის მამა ილიას (ლომაია) ინიციატივითა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას ხელმძღვანელობით დაგეგმილია ხობის მონასტრის შესახებ სოლიდური სამეცნიერო ნაშრომის გამოცემა. როგორც წიგნის სტრუქტურა მოწმობს, ის მრავალმხრივი და კომპლექსური შინაარსის მქონე ღრმა და საფუძვლიანი კვლევების ნაკრებია, შესაბამისი დარგის სპეციალისტების შრომებით.

პროექტის ავტორისა და ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორის ბუბა კუდავას განმარტებით, „ხობის მონასტერი“ ოთხნაწილიანი გამოცემაა. პირველ ნაწილში თავმოყრილი იქნება ცნობები, წყაროები და კვლევები მონასტრის ისტორიიდან (დაარსებიდან 1814 წლამდე; 1814-1921 წწ. 1921-2009 წწ.); შესაბამისი ადგილი დაეთმობა ხობელი მოღვაწეების (წინამძღვრები, ეპისკოპოსები, ხობთან დაკავშირებული ცნობილი პირები...) როლისა და ღვაწლის აღწერას ამ მონასტრისა და, ზოგადად, ქართული კულტურის განვითარების საქმეში; ცალკე განიხილება წმინდა ნაწილებისა და რელიკვიების, ასევე ამავე მონასტერში არსებული საძვალეს ისტორია; დიდი ადგილი დაეთმობა ეპიგრაფიკული, ხელნაწერების, ისტორიული დოკუმენტების, საარქივო მასალების კვლევის შედეგებს. წიგნში მოთავსდება ხობის შესახებ უცხოელი ავტორების (მოგზაურები, მისიონერები...) ცნობები; მეორე ნაწილი დაეთმობა მონასტრის არქიტექტურას, დეკორს, მონუმენტურ ფერწერას, საეკლესიო ინვენტარს (ჯვარ-ხატები, საეკლესიო ჭურჭელი, შესამოსელი...), აქ წარმოებულ არქეოლოგიურ სამუშაოებს, რესტავრაციას; მესამე ნაწილში განთავსდება ცნობები რეგიონის ბუნებრივ-გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიული გეოგრაფიის, იქ გავრცელებული ტოპონიმიკის შესახებ. მეოთხე ნაწილი წყაროებს, ქრონოლოგიურ ნუსხებს, რუკებს და ბიბლიოგრაფიას დაეთმობა.

ამ წიგნის გამოცემამდე ერთი ეპოქით ადრე სამეგრელოში წარმოებული არქეოლოგიური ექსპედიციის შემდეგ ექვთიმე თაყაიშვილი ასე აღწერდა ხობის მონასტერს: „მარტვილის შემდეგ შესანიშნავი მონასტერი სამეგრელოში სიძველეთა ნაშთების მიხედვით არის ხობის ტაძარი, რომელიც მდებარეობს გორაკზე, ხობის წყლის მარცხენა ნაპირზე, ექვს ვერსზე ახალ-სენაკიდან. მონასტერს უვლის ირგვლივ ძველი მაღალი ქვის გალავანი, რომლის შესასვლელის თავზე აღმართულია მშვენიერი ძველი სამრეკლო. ამ სამრეკლოდან საუცხოვო გადასახედია. ეკლესია ხობისა წარმოგვიდგენს ძველს სამნაწილედ უგუმბათო ეკლესიის სიონად (ბაზილიკად) აგებულს თლილის ქვისაგან. ხოლო საკურთხეველი შუა ნაწილისა მომრგვალებით ხუთ-ფრთიანად გამოდის გარეთ და შემკობილია მშვენიერის ქართულის ჩუქურთმებით. დასავლეთის და სამხრეთის მხრით ეკლესიას უვლის სტოა, ანუ შტოი, რომელიც ეკლესიის აშენების შემდეგ უნდა იყოს აგებული. თაღები შტოისა დასავლეთის მხრით გახსნილია, ხოლო სამხრეთის კედრით შემდეგ დროშია ამოშენებული, გარდა შესასვლელის თაღისა შუა ნაწილში და კიდევ მეორეისა დასავლეთისაკენ. შუა ნაწილებში ამ შტოებისა ზემოთ ფრონტებია ამართული თითო ჩუქურთმიანი ფანჯრებით. აღმოსავლეთის ნაწილი სამხრეთის შტოისა ეკვტრად არის გადაქაცეული და საძვალე ანუ სამარხავია ვამეყ დადიანის სახელობისა (1386-1398). ეს ეკვტერი, როგორც წარწერა მოგვითხრობს, აუშენებია ვამეყ დადიანს და შეუმკვია მარმარილოს სვეტებით, ჩუქურთმიანი ქვებით, სვეტის თავებით და სხვა ნაშთების ნამტვრევებით, რომელიც მას ძლევა-მოსილი ლაშქრობის შემდეგ მოუტანია ჯიქეთიდან, შავი ზღვის პირიდან. მართლა მთელ საქართველოში ვერსად ვერ იპოვნით კედელს, რომელიც ასე აჭრელებული იყოს სხვა და სხვა დროის ხელობის ჩუქურთმიანი მარმარილოს და სხვა უბრალო ქვებით. ყველაზე უფრო საყურადღებოა ამათში ხუთი მარმარილოს სვეტი მშვენიერის ჩუქურთმიანის თავებით ბიზანტიურის ხელობისა. ასეთივე სვეტები და სვეტების თავები გვხვდება ბიჭვინთაში და ხერსონში, სადაც ბიზანტიის გავლენა დიდი იყო.

შესავლის მარცხნივ ორი თაღი ამოვსებულია მთლიანის თეთრის მარმარილოს ფიქალებით. ამ ფიქალების ახლო შიგნიდამ სასაფლაოა მარმარილოს ქვებით კუბოს მსგავსად მომაღლოთ აგებული. შესავალი აქვს ეკლესიას სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ფანჯრები აღმოსავლეთით ხუთია (ამათში სამი შუა ეკვტერში) და თითო დასავლეთით ჩრდილოეთით და სამხრეთით. ეკლესია დახურულია ეხლა ჯესტით. იატაკი ყოველგან ქვისაა. კანკელი ქვისაა ლამაზი სვეტებით და სვეტის თავებით ზემოთ და შემკობილი გრეხილებით და ჩუქურთმებით. არა გვაქვს ცნობა, თუ როდის არის მონასტერი აშენებული, მაგრამ გეგმა ტაძრისა, ჩუქურთმა და სტილი შენობისა უჩვენებს, რომ თავი მონასტერი უნდა იყოს აგებული არა უგვიანეს მე-X–XI საუკუნისა, ხოლო დასავლეთის და სამხრეთის თაღებ გაშლილი შტოები შემდეგ არის მიშენებული, რაც ცხადათ ემჩნევა: შტოებს დაუფარავს თაღები და ფანჯრები კედლებისა და ფრესკები წინანდელის კარის ბჭედან შესავლისა. კიდევ უფრო გვიან, მე-XIV საუკუნეში, ამოვსებულია თაღები სამხრეთის შტოისა და გამზადებულია ეკვტერი ამ ნაწილში ვამეყ დადიანის მიერ“.



ასომთავრული წარწერა

„ერთი არქეოლოგიური აღმოჩენა უფრო მეტს ადასტურებს ხშირად, ვიდრე ათი მეცნიერული ვარაუდი. ასეთ აღმოჩენას შეუძლია სამუდამოდ დაუსვას წერტილი ვარაუდების ციკლს“



საწინამძღვრო ჯვარი

დღეს სხვა ეპოქაა! სხვა პერსპექტივაში, სხვა ჭრილში, სხვა რაკურსით უნდა მიმდინარეობდეს კვლევა ისეთი ინტერდისციპლინარული კომპლექსისა, რომელშიც ერთიანდება რელიგიის ისტორია, წმინდათა ცხოვრება, ქრისტიანული ხელოვნების სპეციფიკა, ფაქტოლოგია, თანაც ისე, რომ ამ არააბსოლუტურ, რელატივისტურ ფენომენში მუდმივად რჩებოდეს ადგილი მეტაფიზიკური მოულოდნელობებისათვის.

**ექვთიმე თაყაიშვილის არქეოლოგიური ექსპედიციის ფოტოები, ინახება ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში.**

**ესმა მანია,**
**გაზეთი „ქართული უნივერსიტეტი“**

# მ ე დ ი ც ი ნ ა

რუბრიკას უძღვება ექიმი თერაპევტი ვლადიმერ ქანთარია

## პოლიომიელიტის აც-რა აუცილებელია

დაავადების გამომწვევი მიეკუთვნება ნაწლავთა ვირუსების ოჯახს. განასხვავებენ პოლიომიელიტის სამი ტიპის ვირუსს. ინფექციის ჭიშკარს წარმოადგენს ხახის, კუჭისა და ნაწლავის ლორწოვანი გარსი, აქედან ვირუსი შეიჭრება ლიმფურ კვანძებში, შემდეგ კი სისხლში. ვირუსემიას ზოგჯერ თან ახლავს ტემპერატურის ხანმოკლე მომატება და მსუბუქი სისუსტე. ვირუსის ცენტრალურ ნერვულ სისტემაში შეჭრა იწვევს მამოძრავებელი ნეირონების დაღუპვას და ჩონჩხის კუნთების დამბლას, რასაც კუნთების ატროფია მოჰყვება.

ინკუბაციური პერიოდი მერყეობს 5-დან 35 დღემდე, ზოგჯერ ამ პერიოდში აღინიშნება ტემპერატურის ხანმოკლე მომატება, თავის ტკივილი, ყელის ტკივილი, ფარინგიტი, გულისრევა, პირღებინება, შეკრულობა ან ფაღარათი. ინკუბაციის პერიოდის შემდეგ დაავადება იწყება უეცრად თავის ტკივილით, პირღებინებით, ტემპერატურის მომატებით 38-40 გრადუსამდე. ავადმყოფი მოდუნებული და ძილად მივარდნილია, იშვიათია აგზნების სიმპტომები და კრუნჩხვები. ზოგჯერ გამოხატულია მენინგიალური სინდრომი, ხშირია ხერხემლისა და კიდურების ტკივილი, მეტწილად ღამით, ასევე აღინიშნება შეკრულობა, შარდის შეკავება, ოფლიანობა. ზოგიერთ შემთხვევაში პრეპარალიზური სტადიის შემდეგ იწყება გამოჯანმრთელება. დანარჩენ შემთხვევაში 3-6 დღის შემდეგ დამბლების უეცარი განვითარებით იწყება პარალიზური სტადია. ყველაზე ხშირია ქვედა კიდურების დამბლა, შემდეგ კი ზედა კიდურების მხრის სარტყლის და სხვა კუნთების დამბლები, პროცესში შეიძლება ჩაერთოს სუნთქვითი კუნთებიც, რასაც სუნთქვის მოშლა და სიკვდილი მოჰყვება. ბულბალური დამბლის დროს, როდესაც დაზიანებულია ცდომილი, ენა-ხახის და ენისქვეშა ნერვების ბირთვები, ხდება ყლაპვის, სუნთქვისა და სისხლის მიმოქცევის მოშლა, რასაც ასევე შეუძლია ავადმყოფის სიკვდილის გამოწვევა.

დამბლის განვითარების შემდეგ დგება აღდგენითი პერიოდი, რომელიც 2-3 წლამდე გრძელდება. პირველი ორი თვე აღდგენა უფრო ინტენსიურად ხდება, შემდეგ ნელი ტემპით მიდის. შეიძლება დარჩეს რეზიდუალური დამბლები. დიაგნოზი ისმება კლინიკის საფუძველზე. დიდი მნიშვნელობა აქვს ზურგის ტვინის სითხის გამოკვლევას.

მკურნალობა: მწვავე სტადიაში მკაცრი წოლითი რეჟიმი და სიმშვიდე... ენიშნება სამკურნალო–წამლო საშუალებები.

პროფილაქტიკა: ვაქცინაცია ცოცხალი ვაქცინის პეროლარული მიღებით. ვაქცინაცია იწვევს პოლიომიელიტის თითქმის სრულ გაქრობას.

პოლიომიელიტის საწინააღმდეგო აცრები ტარდება: 2, 3, 4, 18 თვის და 5 წლის ასაკში ორალური ან ინაქტივირებული პოლიომიელიტის ვაქცინით.

2010 წლის იანვარ-მაისში ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ევროპის რეგიონის ბიუროდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, ტაჯიკეთში გამოვლენილია პოლიომიელიტის 300-მდე შემთხვევა. ლაბორატორიულად დადასტურდა ველური პოლიომიელიტის ვირუსის I ტიპით გამოწვეული 32 შემთხვევა. ყველა დაავადებული 15 წლამდე ასაკისაა, გარდაიცვალა 15.

ტაჯიკეთის ტერიტორიაზე პოლიომიელიტის ველური ვირუსის I ტიპის ცირკულაცია დადასტურებულია ჯანგოს რეფერენს ლაბორატორიის მიერ. ვირუსი გენეტიკურად იდენტურია ჩრდილოეთ ინდოეთის უტერ-პრადეშის შტატში მოცირკულე ვირუსის.

მაისის თვეში, რუსეთის ფედერაციის ქ. ირკუტსკში, ასევე დადასტურდა ტაჯიკეთიდან იმპორტირებული პოლიომიელიტის ველური ვირუსის I ტიპით გამოწვეული დაავადების შემთხვევა.

ინტენსიური საერთაშორისო მიმოსვლის გათვალისწინებით, ზემოთხსენებული ტერიტორიებიდან ტრანზოტოპრული მატარებლებისა და ან ინკუბაციურ პერიოდში მყოფი პირების ჩამოსვლის რისკი ჩვენს ქვეყანაშიც არსებობს. აქედან გამომდინარე, პოლიომიელიტის აცრებით დაბალი მოცვის დასახლებულ პუნქტებში იქმნება დაავადების აღმოცენება–გავრცელების რეალური საშიშროება. აღნიშნულიდან, პოლიომიელიტზე აუცრელი და ან ვაქცინაცია დაუმთავრებელი 6 წლამდე ასაკის ყველა ბავშვი მშობლებმა სამედიცინო დაწესებულებებში აცრების ჩასატარებლად უნდა მიიყვანონ.

მუნიციპალიტეტის თითოეული სოფლის და ქალაქ ხობის სამედიცინო დაწესებულებები უზრუნველყოფილია პოლიომიელიტის საწინააღმდეგო ვაქცინებით. აცრები უფასოა, ვაქცინაცია უსაფრთხო.

***შორენა საბახტარაშვილი,***
***ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის დირექტორი,***
***ჯუმბერ ტურავა,***
***ექიმი პროფილაქტიკოსი.***

## კაშკაშა მზე გაცილებით საშიშია, ვიდრე გვგონია



ადამიანები, რომლებიც დროის უმეტეს ნაწილს მცხუნვარე მზეზე ატარებენ, საკუთარ ჯანმრთელობას დიდ საფრთხეში აგდებენ. ამ დასკვნამდე მივიდნენ გერმანელი მეცნიერები მიუნხენიდან, რომლებიც „eo Risk Research" პროექტის ფარგლებში ატარებდნენ კვლევებს.

მათ მიერ წარმოდგენილი მონაცემების თანახმად, ულტრაიისფერი გამოსხივების შეფასების სადღეისოდ გამოყენებული მეთოდიკა კორექტული არ არის, რადგან იგი გარკვეულ ზედაპირზე მხოლოდ პირდაპირი ულტრაიისფერი სხივების მოქმედებას ითვალისწინებს. ამასთან დახრილი ზედაპირიდან არეკლილი სხივების ზემოქმედებას თითქმის უგულებელყოფენ. შეცდომაც სწორედ ამაშია: როგორც აღმოჩნდა, არეკლილი სხივების იგნორირება არ შეიძლება.

„ადამიანის სხეული ისეთნაირადაა მოწყობილი, რომ მას პრაქტიკულად არ გააჩნია ჰორიზონტალური სიბრტყეები," - განაცხადა კვლევის ავტორმა დოქტორმა პიტერ ჰეპემ – „ამიტომ მასზე მოქმედებენ არა იმდენად მზიდან მომავალი პირდაპირი ულტრაიისფერი სხივები, რამდენადაც სხვადასხვა ზედაპირებიდან არეკლილი და ამ ზემოქმედების უგულვებელყოფა დაუშვებელია".

## კბილების კრაჭუნი ანუ ბრუქსიზმი



სპეციალისტები ბრუქსიზმად მოიხსენიებენ საღეჭი მუსკულატურის უნებლიე რიტმული შეკუმშვით გამოწვეულ კბილების კრაჭუნს. ბრუქსიზმი არც ისე იშვიათად გვხვდება. ზოგიერთი მონაცემებით პლანეტის მოსახლეობის 15% სხვადასხვა ძალით აკრაჭუნებს კბილებს ძილში. ბავშვებში ბრუქსიზმი უფრო ხშირად გვხვდება (თითქმის ყოველი მესამე), ვიდრე დიდებში, ხოლო ზოგიერთი მეცნიერის მტკიცებით, ყოველი მეორე სკოლამდელი ასაკის ბავშვი მიდრეკილია ძილში კბილების კრაჭუნისკენ. ბრუქსიზმის შედეგად ხდება კბილის ქსოვილის ცვეთა პრაქტიკულად ღრძილის დონემდე, თუკი დროულად არ მოხდება ზომების მიღება.

## სიცილი კურნავს გულს

ავსტრიელი ფსიქოლოგი ილონა პაპუსეკი და მისი კოლეგები გრაცის უნივერსიტეტიდან მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სიცილით თერაპია ერთ-ერთი საუკეთესო მეთოდია გულის დაავადებების მქონე პაციენტთათვის.

30 პაციენტისაგან შემდგარი გუნდი მათ მიერ დაყოფილიქნა ორ ჯგუფად. ერთი ჯგუფი 6 კვირის განმავლობაში რეგულარულად იღებდა მონაწილეობას სესიაში „სიცილის იოგა", ხოლო მეორე ჯგუფი იმყოფებოდა ჩვეულებრივი თერაპიული ზემოქმედების ქვეშ.

როგორც „Membrana" იუწყება, „სიცილით თერაპია" საკმაოდ ეხმარება ადამიანებს გულის შეტევის გადატანის შემდეგ. სიცილი ხელს უწყობს სისხლის წნევის დაქვეითებას. მეცნიერების ვარაუდით, სიცილით მკურნალობა კომბინაციაში ფიზიკურ და სუნთქვით ვარჯიშებთან ერთად მნიშვნელოვნად დააჩქარებს პაციენტების გამოჯანსაღების პროცესს, ხელს შეუწყობს რა მათი გუნება-განწყობის გაუმჯობესებასა და ბედნიერების შეგრძნებას.

## აქტიური ცხოვრება გვიცავს კიბოსაგან



ფიზიკური აქტივობის მომატება სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების პროფილაქტიკური საშუალებაა. ამ დასკვნამდე მივიდნენ ფრედ ხანჩინსონის სახელობის ონკოლოგიური ინსტიტუტის მეცნიერები (სიეტლი, აშშ).

მათ მიერ წარმოებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ ცხოვრების თუნდაც შედარებითი აქტიური წესის მიმდევარი ასაკოვანი ქალების (მენოპაუზის შემდეგ) სისხლში მცირდება შემცველობა ესტროგენებისა, რომლებიც სარძევე ჯირკვლის კიბოს განვითარების პროვოცირებას იწვევენ. ეს ფენომენი შეინიშნება სხვა იმ ფაქტორებისაგან დამოუკიდებლად, რომლებიც ზეგავლენას ახდენენ ორგანიზმის ჰორმონალურ სტატუსზე (ჭარბი წონა, მავნე ჩვევები და სხვ.)

## კოკაინი იწვევს დნმ-ის მუტაციას

იტალიელი მეცნიერები 3 წლის მანძილზე ატარებდნენ ცდებს ცხოველებზე და დაადგინეს, რომ კოკაინი და ექსტაზი ნარკოდამოკიდებულებისა და კიბოს განვითარებასთან ერთად იწვევს გენეტიკურ მუტაციებს.

„აღმოჩნდა, რომ კოკაინი და ექსტაზი გაცილებით უფრო საშიშნი არიან, ვიდრე ვვარაუდობდით" =- განაცხადა ბიოტექნიკური კვლევების ნაციონალური ცენტრის მთავარმა სპეციალისტმა ჯორჯო ბრონზეტმა. ეს ნარკოტიკები თავისი ტოქსიკოლოგიური ზემოქმედების ზენიტში უტევენ დნმ-ს და იწვევენ გენეტიკური მასალის ცვლილებებსა და მუტაციებს.

გაეროს მონაცემებით, 1995-2000 წლებში ზემოაღნიშნული ნარკოტიკების, ასევე, ამფეტამინების მოხმარება 70%-ით გაიზარდა. მაგ: მოხმარების ინტენსივობისა და მავნებლობის ხარისხის მიხედვით ექსტაზი გაუტოლდა უმძიმეს ნარკოტიკებს და აღმოჩნდა იმ პრეპარატების სიაში, რომლებიც ყველაზე სწრაფმზარდ გლობალურ საშიშროებას წარმოადგენენ.

## ოჯახი

# ცხოვრება ახლებურად მოიწყვეს

აჭარასა და აჭარის მაღალმთიან რაიონებზე არაერთი ლამაზი სიტყვები თქმულა, რომ „ერთი მრავალშვილიანი დედაა საქართველო, შვილები კი დასტურ ერთმანეთზე გულადი და პურადი ჰყავს. წარსულში დაუძინებელ მტერთაგან გარშემორტყმულ თითოეულ კუთხეს თავისი მიკროისტორია აქვს. ფარივით იდგნენ ისინი ერთმანეთზე მინდობილ–მიყუდებულნი და ასე ლეწდნენ თავის წილ სიკვდილ-სიცოცხლის კალოს. ერთ ასეთ ფარად იდგა საქართველოსთვის სამხრეთ–დასავლეთით აჭარა. იგი მტრისთვის ბჭე იყო, მოყვასისთვის–ჭიშკარი.

სამშობლო ქვეყნის, საერთო–ქართული საზრუნავ–საფიქრალის გარეშე ერთი დღეც არ უცხოვრია აჭარას მაშინაც კი, როცა იგი სამასწლიან ტყვეობასა და კარზე მომდგარ გადაშენებას ებრძოდა. ძმისთვის გული შესტკიოდა, თავად გაუტეხელი და ლომგული ხსნას მომავალში ხედავდა, ქართულ კერას არ აცივებდა და საკუთარი სიმტკიცისა და ღვიძლი ძმების იმედი ჰქონდა.

სიღარიბეს, ჩამორჩენილობას, სულის მომშხამველ ცრუმორწმუნეობას, რაშიც ცოტა როდი იყო ოსმალთა სამასწლიანი ბატონობის ბრალი, ზედ ერთვოდა ზოგიერთ გზააბნეულთა ავკაცობა და ორგულ–ორპირობა, ოსმალური ოქროს წკრიალით დაბრმავებული ცბიერი ხოჯა–მოლების გონების დამბაგველი ქადაგება და გაუმაძღარი აღა–ბეგების თვალ–გულხარბობა, მრუდე სარკეში დანახული მომავალი და გაურკვევლის შიშით აყრილი მუჰაჯირობა. მაგრამ ერთეულები როდი ქმნიან ერის სახესა და ისტორიას, ისტორია ხალხის შემოქმედებაა, ხალხის კუთვნილებაა, ქართველ ხალხს კი არასოდეს უღალატია მამულისა და რწმენისთვის. ასე იყო აჭარაშიც. კბილებით ეკიდა აქაური კაცი კლდე–კორტოხებს და მისი მიტოვება და ღალატი გულშიაც არ გაუვლია, მომავლის რწმენა და იმედი არ დაუკარგავს. ხსნა სხვაგან არ უძებნია. და, თუ მართალი გინდათ, არც მუჰაჯირად აყრილი ჩვენებური კაცი იყო რჯულის შემაქცევარი და უცხო სამოთხის მაძებარი...

აჭარაში ენასთან ერთად ქართულ წიგნსა და დამწერლობასაც რომ განადგურება დაუპირეს, სწორედ აქაურმა ქალმა შეინახა იგი უბეში. ასე მოაღწია ჩვენამდე აჭარაში გადარჩენილმა ასომთავრულმა, რომელიც „დედაბრული დამწერლობის" სახელითაა დღეს ცნობილი.

აქაური დიასახლისები ქარგავდა თავსამკაულიან „ციცაქალას" ჯვრის გამოსახულებებს, ასვამდა ჯვარს კეცში ჩაკრულ მჭადში.

ზამთრის სიმუხთლე მთაში კაცის ღალატთანაა გატოლებული, კაცისა–ზამთართან. მთელი კაცის ცხოვრება ოდითგან იყო სიდუხჭირესთან, ბუნების ათასგვარ ჭირვეულობასთან და რისხვასთან ჭიდილი..."

აჭარის მკვიდრნი არიან გურამ ბერიძე და მისი მეუღლე ნადია ებრალიძე, ისინი შუახევის რაიონში, სოფელ დარჩიძეებში ცხოვრობდნენ დედ–მამასთან და ორ ვაჟიშვილთან ერთად, მანამ, სანამ მეწყერისგან დაზარალდებოდნენ. ეს მოხდა 1989 წელს, როცა სომხეთში მომხდარმა მიწისძვრამ აჭარის სოფლები დააზარალა. ექვსულიანმა ოჯახმა თავის ძმებთან, ახლობლებთან ერთად ლად დავაღამეო",– იტყვიან, დრო თუ მარცხად გაუცდათ.

გურამსა და მის მეუღლეს ორი ვაჟიშვილი მერაბი და რევაზი ჰყავდათ მათ სწავლა-განათლება ბიის საშუალო სკოლაში მიიღეს.

1994 წელს ბერიძეების ოჯახს უბედურება დაატყდა თავს, რევაზი სისხლის მოწამლვით გარდაიცვალა. შვილის დაღუპვის შემდეგ, გურამს დედ-მამაც გარდაეცვალა.

ცხოვრება გრძელდებოდა, წინ მიიწევდა. გავიდა წლები და მერაბმა ბათუმელი გოგო მანანა შამანაძე ითხოვა. სამი შვილი –ქეთი, მარიკა და რევაზი ეყოლათ. ისინი ამჟამად ბათუმში ცხოვრობენ, პატარებიც ბათუმის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში იღებენ სწავლა-განათლებას.

გურამი და მათი ოჯახი დღესაც დიდი სიყვარულით იგონებს მათ სავანეს: – დარჩიძეები 140 კომლისაგან შედგებოდა. 1989 წლიდან იქ მხოლოდ 60 კომლია დარჩენილი. ჩვენ დროდადრო ჩავდივართ ჩვენს ნასახლარში, მაგრამ იქ დაბრუნებაზე არც ვფიქრობთ. ჩვენი სახლები მეწყერმა წალეკა, ისევ ხელახლა ვერ დავიწყებთ ცხოვრებას, გაგვიჭირდება. თანაც მივეჩვიეთ აქაურობას, თითქოს მთელი ცხოვრებაა აქ ვცხოვრობთ. ჩემი ძმაც აქ დასახლდა, ჩემს მეზობლად ცხოვრობს თავისი ოჯახით. მთელ ხობს ვიცნობ. აქ საუცხოო მეზობლები და მეგობრები მყავს. ყველა მათგანი ძალიან მიყვარს. სწორედ ამ ერთგულების ბუნებრივი გამოხატულებაა ის სითბო, გულითადობა და სიყვარული, რაც ჩვენ ამ მიწაზე დაგვხვდა, იქაურებთან ყველასთან კავშირი გვაქვს, ჭირსა და ლხინში ერთმანეთს გვერდში ვუდგავართ,–გვითხრა მან.

საკუთარი ეზო-სამოსახლო დატოვეს და საცხოვრებლად მეზობელ კუთხეებში გადმოვიდნენ.

გურამ ბერიძეს ოჯახმა საცხოვრებლად ისეთი ადგილი აირჩია, სადაც მათი ოჯახისთვის შესაფერისი გარემო იქნებოდა, სადაც სოფლის პროდუქტების მოყვანის საშუალება მიეცემოდათ. ასეთ ადგილად კი ხობის რაიონის სოფელი ბია აირჩიეს და იქ დასახლდნენ.

... აქ სხვა მზე ანათებდა, სულ სხვა ცხოვრება სუფევდა, მაგრამ მათი მუყაითობითა და გულგარჯილობით თავიდან მოიწყვეს ცხოვრება. აქ სხვა ცხოვრება დახვდათ, სხვა ადათ-წესები. მაგრამ წარსული დაივიწყეს შეძლებისდაგვარად და ახალი ცხოვრების ორომტრიალში ჩაებნენ.

მათი ახალი კარ–მიდამო გაილამაზეს, ყველა საჭირო პირობა შეიქმნეს. კოხტად შემოკავებულ პატარ-პატარა ბოსტნებში საკმაზები და ბოსტნეული მოყავდათ, რომ მთელი წლის განმავლობაში ჰყოფნოდათ. გაამრავლეს შინაური ფრინველი, ცხოველი და სხვა... ახალმოსახლეებმა აქ ცხოვრება ახლებურად მოიწყვეს ახალი ფუძე-კარის დასამკვიდრებლად, ცხოვრების მოსაწყობად. დროის უქმად გაცდენას მთიან აჭარაში დაღამებას ეძახიან. გამრჯე კაცს დღე მოკლედ ეჩვენება, დაღამებისათვის არ ემეტება. „რა ტყუილად დავაღამეო"...

თედო სახოკია წერდა: „გაჭირვებული მეზობლის შეხედვაში აჭარელს სირცხვილი და ბადალი არა ჰყავს მთელ საქართველოში. მეზობლის სირცხვილი და გაჭირვება თავის საკუთარ სირცხვილად და გაჭირვებად მიაჩნია". ერთ-ერთი მათგანია ბატონი გურამი.

დღეს ის ხობში ინდმეწარმეა, მის მრავალრიცხოვან ოჯახს ის არჩენს. მათი ახლობლებისა და ოჯახის წევრების, შვილიშვილების სიყვარულით ცხოვრობს. მათი ოჯახის დიდი ტკივილი კი მათი გარდაცვლილი შვილია.

ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ, ბატონო გურამ!

***ნანა კემულარია***

## ჩვენ და გარემო

# აღვზარდოთ ბუნების მეგობრები

გარემოს დეგრადაციის პრობლემამ განსაკუთრებული სიმწვავით თავი მე-18 საუკუნიდან იჩინა ინდუსტრიალიზაციის, მოსახლეობის რაოდენობის ზრდისა და სოფლის მეურნეობის განვითარების პირობებში, ხოლო მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში უპრეცედენტო მასშტაბებს მიაღწია. სამეცნიერო გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ბოლო ოთხი ათწლეულის განმავლობაში ადამიანის საქმიანობამ უკიდურესად შეცვალა და დააზიანა კაცობრიობის არსებობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის მქონე სისტემები, როგორიცაა: ბიოსფერო, ატმოსფერო და ჰიდროსფერო. ამ სისტემებზე ზემოქმედების შედეგები–ბიომრავალფეროვნების შემცირება, კლიმატის ცვლილება, ოკეანეებისა და სხვა წყალსატევების, ტყის რესურსებისა და ნიადაგის დეგრადაცია საფრთხეს უქმნის, როგორც ახლანდელი, ასევე მომავალი თაობების კეთილდღეობას.

ასეთ ვითარებაში პედაგოგები და მითუმეტეს, საბუნებისმეტყველო დარგის სპეციალისტები, გულხელდაკრეფილები ვერ ვიქნებით, რამაც გადაგვაწყვეტინა ხობის №2 საჯარო სკოლას მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელების ხელშეწყობით, ჩაგვეტარებინა რაიონული ღონისძიება თემაზე „დედამიწა, ჩვენი სახლია", რითაც ჩვენმა მოსწავლეებმა მაყურებლის წინაშე ეკოლოგიური პრობლემები გააშუქეს, რომელიც ადამიანებს დედამიწის ყველა მერიდიანზე თანაბრად აწუხებს.

ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების უპირველესი მოვალეობაა ბავშვს პატარაობიდანვე გამოუმუშავოს ბუნებისადმი სიყვარული, აღზარდოს ბუნების ჭეშმარიტ მეგობრად. ბავშვს უნდა შეეძლოს ბუნების სილამაზის აღქმა, მისით ტკბობა და გატაცება, რაც უფრო აზრიანსა და მდიდარს გახდის მის მომავალ ცხოვრებას.

„სიბრალულის გარეშე კაცი არ კაცობს,"– ამბობდა ბუნების შვილი, მისი დიდი ქომაგი ვაჟა-ფშაველა, ამიტომაც აუცილებელია, ადამიანში ბავშობიდანვე გაიღვიძოს სიბრალულის, კაცთმოყვარეობის გრძნობამ.

ზოგიერთი მშობელი ყურადღებას არ აქცევს თავისი შვილის მიერ ფრინველთა ბუდეების დანგრევას, ფრთოსანი მეგობრების ხოცვას, ცხოველების წვალებას, ნორჩი ნარგავების ტოტების მტვრევას... ყოველივე ამას მის ბავშვობას აბრალებს, მაგრამ არ ითვალისწინებს, რომ ამით მას უჩნდება ძალმომრეობის ჩვევა, უჩლუნგდება შეცოდების გრძნობა, ავი და ბოროტი იზრდება. ამიტომაც მოსალოდნელია, ასე აღზრდილმა პიროვნებამ ადამიანზეც აღმართოს ხელი. მშობლები კი მხოლოდ მაშინ განცვიფრდებიან და იტყვიან „როგორ მოხდა ეს?" ავიწყდებათ, რომ ყველაფერი ბავშვობაში დაიწყო და გვიანღა არის თითზე კბენანი. ასე, რომ ბავშვის პირველი აღმზრდელები მშობლები არიან. მშობლებმა უნდა ჩათესონ ბავშვის სულიერ სამყაროში სიკეთის მარცვალი, სკოლა კი აღმონაცენს საზოგადოებრივი ნადურით გათოხნის და მოსავალს მოიყვანს. მოსავალი კი ბუნების ჭეშმარიტი მეგობრები, სამყაროს ერთგული დამცველები, ღირსეული მამულიშვილები და დიდბუნებოვანი ადამიანები იქნებიან.

ბუნების დაცვა ადამიანის წმიდათაწმიდა ვალია.

ადამიანებმა ერთად ვუშველოთ მკერდში დაჭრილ დედამიწას!

***ნანა ძიძარია,***
***საშა არჩაია,***
***ხობის №2 საჯარო სკოლის პედაგოგები.***

## ხსოვნა

# ნუგზარ ჭაჭია



ძნელია უშენობა, შენისთანა ადამიანის დაკარგვა. 22 ივნისი შენი დაბადების დღეა. დღე, რომელიც ყველას გვიყვარდა. ახლა ეს დღე ჩვენში სევდას, მონატრებას იწვევს ჩვენო ალალ-მართალო, ვაჟკაცობით, კეთილშობილებით, ჭირსა და ლხინში თანადგომით გამორჩეულო ადამიანო.

ძვირფასო ძმაო, ნუგზარ! დრო მიდის, ვიცვლებით ჩვენ, მაგრამ უცვლელია შენი ხსოვნა, რომელსაც ასე ვუფრთხილდებით, რომლითაც სუნთქავს და არსებობას აგრძელებს შენი ლამაზი ოჯახი. სწორედ ჩვენზე, შვილებსა და შვილიშვილებზე ზრუნვაში გაჩერდა შენი გული და დაგვტოვე სწორედ მაშინ, როდესაც ასე ძალიან გვეიმედებოდი. მოწიწებითა და მოკრძალებით წარმოთქვამენ შენს სახელს ჩემი ოჯახის წევრები, ენატრებით და გულისტკივილით იგონებენ შენთან გატარებულ წლებს, შენ ყველასათვის სიკეთესა და სიყვარულს თესავდი. ამიტომაც განსაკუთრებული ადგილი გეკავა ჩვენს გულებში. გვიჭირს უშენობა, გვაკლია შენეული თანადგომა. მოგონებები ძალზე ბევრია. არ შეგვიძლია არ გამოვხატოთ მადლიერება იმ სახელისათვის, რაც შენს შვილებს, შვილიშვილებს, მეზობლებსა და ახლობლებს დაუტოვე.

თითოეული ჩვენთაგანის სულო და გულო, მოყვასის მოყვარულო, ბევრი რამ დაგრჩა გაუკეთებელი, შუა გზაზე შემოგალამდა, უკურნებელმა სენმა წაგვართვა შენი თავი, ამიტომაც ვწუხვართ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ საძმოს სიყვარულის ბოლომდე ღირსეულად გატანა შეძელი.

დრო მიდის, შენი ოჯახი ცხოვრებას შენი წესისამებრ აგრძელებს. შენი სიცოცხლე შვილებსა და შვილიშვილებში გრძელდება. შენი კეთილი და სპეტაკი სული მუდამ თავს დაგვნათის, გვკარნახობს რა უნდა ვაკეთოთ, მარტოდ დარჩენილი შენი მეუღლე ყველაფერს აკეთებს, იმისათვის, რომ შენს მიერ შრომით და გარჯით ლამაზად დატოვებულ ოჯახს ღირსეულად მოუაროს, რათა შენს ნათელ ხსოვნას ჩრდილი არ მიადგეს.

გვიყვარხარ, გვენატრები. საუკუნოდ იყოს ხსენება შენი!

***კარლო ჯობავას ოჯახი.***

## გამოსათხოვარი

# ბიქტორ (ბიჭუნა) გვათუა



წავიდა ჩვენგან კიდევ ერთი ალალ-მართალი, პატიოსანი, სინდის-ნამუსით სავსე ადამიანი, რომელმაც თითქმის ცხრა ათეული წელი იშრომა იმისათვის, რომ მეუღლესთან, პედაგოგ ჟუნა ფაჩულიასთან ერთად ოთხი შვილისთვის უმაღლესი განათლება მიეცა, შვილიშვილებისათვის სწავლაში ხელი შეეშველებინა. ჩვეულებრივ ტკბილ–მწარე ცხოვრებით ეცხოვრა.

დიდი ოჯახის მამასახლისი იყო ბატონი ბიჭუნა. ყველგან, სადაც კი უმუშავნია, კეთილი კვალი დაამჩნია, ამიტომაც დატოვა სიყვარული და გულისტკივილი.

როცა აფხაზეთიდან იქ დამკვიდრებული შვილები მაშინ დევნილის სტატუსით დაბრუნდნენ, უფრო ახალგაზრდა იყო. მათ გვერდით დადგა, შვილიშვილიც გზაზე დააყენა, მის სტუდენტობას, შვილთაშვილების სკოლაში გაცილებასაც მოესწრო.

მშობლის ასაკი ვინ მოიგონა. დასანანია, რომ გონებითაც და ფიზიკურადაც ჯანსაღი და სასიამოვნო ადამიანი წავიდა ჩვენგან. მეზობლების, ახლობლების და თავისი ოჯახის დიდი გულისტკივილი მიაცილებს მას ცათა სასუფევლისაკენ სავალ გზაზე.

ნათელი დაადგეს მის საფლავს.

**შვილების**
**მეგობრების**
**სახელით**
**მერი ლაგვილავა.**

მეორე გურიფულის საჯარო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

**ნოდარ პეტრეს ძე გულუა**

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

შვილები: მზია, სვეტლანა, ქეთევანი, მალხაზი გვათუები. შვილიშვილები და შვილთაშვილები ოჯახებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ბიქტორ (ბიჭუნა) ანტიფოს ძე გვათუა**

პანაშვიდი 29, 30 ივნისს, დაკრძალვა 1 ივლისს, სოფელ ზემო ქვალონში.

შ.პ.ს. „აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხობის პოლიკლინიკის" თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ ამავე პოლიკლინიკის დირექტორს ქალბატონ სვეტლანა გვათუას მამის

**ბიქტორ (ბიჭუნა) ანტიფოს ძე გვათუას**

გარდაცვალების გამო.

სკოლამდელ დაწესებულებებში

# პირველი ნაბიჯები გადადგმულია



დასრულდა ლამაზი ზღაპარი, რასაც საბავშვო ბაღი ჰქვია...

საყვარელ ბაღთან დამშვიდობების ჟამი დადგა.

ხობის №2 საბავშვო ბაღის (მთავარი სპეციალისტი ნარგიზა ტუღუში) დარბაზი ჯადოსნურ სამყაროს ჰგავდა. იგი სავსე იყო ყვავილებით, მუსიკით, პოეზიით, ერთმანეთის სიყვარულით და ცრემლნარევი განცდით...

დრო რა სწრაფად გადის...

რამდენმა თაობამ გაიარა ამ კედლებში, ისინი უკვე დიდები არიან. წელს სკოლაში ნიკა, მარი, გიგი, ლუკა, სალომე, თამარი, თემური, გიორგი, დათო მიდიან... სულ 34 არიან.

ღონისძიების მონაწილე ბავშვი თუ მასწავლებელი ერთნაირად ღელავდა. საღამო ქართული მუსიკის ჰანგებით დაიწყო. დიდი სიყვარულით და გრძნობით ემშვიდობებოდნენ საყვარელ ბაღს პატარები, რომლებიც გამოცდილი მსახიობებივით წარმართავდნენ ღონისძიებას, ერთი მეორეს ცვლიდა. თითქმის ყველა ბავშვი სიამაყის გრძნობით გამოხატავდა უდიდეს სიყვარულს მასწავლებლებისა თუ აღმზრდელების მიმართ.

ბევრი თბილი ღიმილი, უამრავი სიხარული და კეთილი განწყობა გვაჩუქეს ბავშვებმა, მღეროდნენ, ცეკვავდნენ, სხვადასხვა ფორმებში გამოწყობილი გოგობიჭები, სრულდებოდა ცეცხლოვანი ცეკვები (ქორეოგრაფი კობა გერგაია), ომახიანად მღეროდნენ ბიჭები (მუსიკის მასწავლებლები თეა ბაჩილავა და დარეჯან საბეკია).



სკოლამდელები უმღეროდნენ სამშობლოს, სიყვარულს, მეგობრობას... და ეს ყველაფერი სასიამოვნო მოსასმენი იყო და გულს მალამოდ ესალბუნებოდა. ვუსმენდი მათ და ვცდილობდი არ მოვწყვეტოდი ბავშვობას...

ფიქრი და ოცნება უსაზღვრო იყო...

ღონისძიებას, რომელსაც ესწრებოდა სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების დირექტორი ქალბატონი ნორა იოსავა, გაოცებას ვერ მალავდა, ეტყობოდა ბედნიერი იყო. ასევე ბედნიერები იყვნენ მშობლები, მასწავლებლები...

ლამაზია ცხოვრება ამ ბავშვებთან ერთად, ისინი ჩვენი იმედი და მომავალი არიან...

საოცარია ჩავლილი წლების ხიბლი...

მომავალმა პირველკლასელებმა პირველი ნაბიჯები უკვე გადადგეს...

ისწავლეთ, ლამაზ ქართველებად აღზრდას გისურვებთ. იარეთ იმ გზით, რითაც ჩვენს მამა-პაპას უვლია, სწავლით და ცოდნით დაეუფლეთ სამყაროს, ...დაე, აქ ნასწავლი, ნანახი და გაგონილი ცხოვრების მეგზურად გაგყოლოდეთ.

ღმერთი გფარავდეთ, ჩემო პატარებო!

**ნაირა ბერაია**

სპორტი

# გათამაშდა ნოდარ შენგელიას სახელობის თასი



17-23 ივნისს ხობში, ნოდარ შენგელიას სახელობის სტადიონზე, ჩატარდა ნოდარ შენგელიას სახელობის თასის რიგით მეცხრამეტე გათამაშება.

შეჯიბრებაში მონაწილეობას ღებულობდნენ სენაკის „ეგრისი“ და „ტეხურა“, ზუგდიდის „ბაია“ და ბაია-2“, ჯვრის „ენგური“ და „ენგური-2“, ხობის „იმედი“ და „იმედი-2“.

ერთკვირიანი დაძაბული ორთაბრძოლის შემდეგ გამოვლინდნენ პრიზიორები და ჩემპიონები:

მესამე ადგილზე გავიდა ხობის „იმედი“ (მწვრთნელი ფრიდონ გოცირიძე, მთავარი სპეციალისტი ზურაბ ლატარია, განათლების ცენტრის დირექტორი ხათუნა ხორავა).

მეორე ადგილი დაიკავა ზუგდიდი „ბაია-2-მა“ (მწვრთნელი მამუკა ჭაჭუა). ტურნირის ჩემპიონი ღირსეულად გახდა ზუგდიდის „ბაია“ (მწვრთნელი ოთარ ძალამიძე), რომელსაც ნოდარ შენგელიას სახელობის თასი გადაეცა.

ტურნირზე სხვადასხვა ნომინაციაში დაწესებული იყო პრიზები.

საუკეთესო მეკარედ აღიარეს ირაკლი საბეკია („ბაია“); საუკეთესო მცველი გახდა – მანუჩარ ლატარია („იმედი“); საუკეთესო ნახევარმცველი–თორნიკე ფიფია („ენგური“); საუკეთესო თავდამსხმელი – გიგა წურწუმია („იმედი“); საუკეთესო ბომბარდირი ნიკა ლაშხია („ბაია“) გახდა. ტექნიკურ ფეხბურთელად აღიარეს დიმიტრი თუთბერიძე („ბაია“). ტურნირის მაყურებლის სიმპათია გახდა გოგა კაცაძე („იმედი“). ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად ერთხმად აღიარეს ბექა მიქელაძე („ბაია“); პერსპექტიულ ფეხბურთელებად დაასახელეს რევაზ ქაშიბაძე („იმედი“), ილიკო თოდუა („ენგური“), ელგუჯა ხვითარია („იმედი-2“).

ფასიანი საჩუქრები გადაეცათ ტურნირში მონაწილე გუნდების მწვრთნელებს: ფრიდონ გოცირიძეს, თენგიზ ჭიჭინაძეს, ოთარ ძალამიძეს, მამუკა ჭაჭუას, გურამ ჩიქობავას, ვაჟა ხუნწარიას, ემზარ შონიას და დათო თოდუას, ასევე ფინალური მატჩის არბიტრს ლევან ნოდიას.

ტურნირი დააფინანსა ნოდარ შენგელიას ძმამ, ბატონმა გივი შენგელიამ, რომელმაც ფასიანი საჩუქრები გადასცა ტურნირის მონაწილე ყველა ნორჩ ფეხბურთელს, ტურნირს ორგანიზება გაუკეთა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის, კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურმა (უფროსი ჯულიეტა ქვარაია) და ხობის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ფედერაციამ.

ტურნირის დამთავრების შემდეგ მონაწილეებმა, ბატონი ნოდარის ოჯახის წევრებმა და სტუმრებმა ნოდარის საფლავი ყვავილებით შეამკეს.

**ლევან ლემონჯავა**

აუქციონი

## ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების გამოცხადების შესახებ

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული მოძრავი ნივთების პრივატიზებაზე**

***საპრივატიზებო ობიექტების ნუსხა***

| № | ავტომანქანის მარკა, მოდელი, სარეგისტრაციო ნომერი | გამოშვების წელი | საწყისი გასაყიდი ფასი | ფერი | „ბე“-ს ოდენობა 30 % | საფასურო ბიჯის ოდენობა 10 % | მონაწილის ბილეთის ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ოპელ ვექტრა 1.81 (yvy-223) | 1992 | 2000 | რუხი 7/8 | 600 | 200 | 20 |
| 2 | ვაზ 2106 (FAN – 30) | 1983 | 1000 | ლურჯი 7/8 | 300 | 100 | 20 |
| 3 | ვაზ 2107 (TEM – 973) | 1998 | 900 | მწვანე 7/8 | 270 | 90 | 20 |
| 4 | ოპელ ვექტრა 2.01 (AMA – 805) | 1994 | 1980 | ლურჯი 4/8 | 594 | 198 | 20 |
| 5 | გაზ 53 - 12 (FAE=088) | 1985 | 700 | მწვანე 3/8 | 210 | 70 | 20 |

განცხადების მიღების ადგილია: ქ. ხობი, ცოტნე დადიანის ქუჩა №198. ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა – გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე, 9-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ–კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს, 9-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2010 წლის 28 ივლისი, 15-00 საათი.

საბანკო რეკვიზიტებია: მიმღები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო ანგარიში 200122900, მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი 220101222, სახაზინო კოდი 300403332.

აუქციონის ფორმით მოძრავი ქონების პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული მყიდველი ვალდებულია აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში, გამგეობასთან გააფორმოს ნოტარიალურად დამოწმებული შესაბამისი ხელშეკრულება, აგრეთვე, აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული ქონების საბოლოო გამოსასყიდი თანხა, წინააღმდეგ შემთხვევაში, აუქციონის შედეგები გაუქმდება: მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და „ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი ( მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პასპორტის ან პირადობის მოწმობის ასლი;

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოატარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საააუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

მოძრავი ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

გამყიდველი ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა.

## გინდ დაიჯერეთ, გინდ არა!



ავსტრალიის მედია გვატყობინებს უცნაურ შემთხვევას, გინდ დაიჯერეთ, გინდ არა, მაგრამ მოხსენება მთვრალ თუთიყუშებზეა.

თუთიყუშები ნახეს ვარდნისას. მათი „სიმთვრალე” ალბათ რომელიმე მცენარითაა გამოწვეული. თუ რომელი მცენარეა „სპირტიანი” ჯერ არავინ იცის, მაგრამ ადგილობრივმა მაცხოვრებლებმა ამ ფაქტის შესახებ უკვე დიდი ხანია იციან. დღეში ვეტერინარებთან 8-მდე თუთიყუში ხვდება. უცნაური შემთხვევა ყოველ წელს ზაფხულის დაწყებასთან ერთად მეორდება ჩრდილოეთ ავსტრალიაში.

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით

დამფუძნებელი: *ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.*

„ახალი სამკუთხედის“ გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“

დირექტორი *ბეჟან ნადარაია*

მორიგე რედაქტორი *ნანი კილასონია*

დამკაბადონებელი *ჯულიეტა ლატარია*

მის: ხობი, სტალინის ქუჩა №1 ტელ: 8 (214) 2-21-13; (879) 72-61-72

გამოდის კვირაში ერთხელ

გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბე“-ში.

დაიბეჭდა შ.პ.ს. „მ.ვ.პ.“გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.